მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

შენიშვნები
გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. სააკაძეში კონგლომერატის მოპოვებაზე სკრინინგის განცხადების თაობაზე

25 თებერვალი, 2026

წარმოგიდგენთ შენიშვნებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სააკაძეს ტერიტორიაზე 959 950 m^3 კონგლომერატის მოპოვების პროექტის (გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნებული) სკრინინგის განცხადების თაობაზე.

1. სკრინინგის განცხადების შესაბამისობა კოდექსის მოთხოვნებთან

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სკრინინგის განცხადებაში უთითებს: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციული ერთეულში 959 950 მ3 კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 68221-222491; 10.09.2025წ)“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო აუქციონის გამოცხადებამდე სკრინინგის განცხადებით მიმართავს სააგენტოს ამ მუხლით **დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად**“.

ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები კი გულისხმობს, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, წარმოადგინოს:

> ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
>
> ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე ამ **მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე.**

კერძოდ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ უნდა წარმოადგინოს შემდეგი კრიტერიუმებით შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია:

> ა) საქმიანობის მახასიათებლები:

greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;
ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;
ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
ბ.დ) დაცულ ტერიტორიასთან;
ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;
ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;
ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);

გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:
გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი განცხადება ვერ აკმაყოფილებს სკრინინგის განცხადებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტსაც კი. სააგენტო ტრადიციულად თავს არ იწუხებს კანონის მოთხოვნის შესაბამისი დოკუმენტის მომზადებისთვის და განცხადების შაბლონური ტექსტითა და ნახევარი საუკუნის წინ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტებით ცდილობს სკრინინგის დასკვნის მოპოვებას.

ვინაიდან კანონი არ აწესებს რაიმე სახის გამონაკლისს ასეთი შემთხვევებისათვის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 5[1]-ის თანახმად, ვალდებული იყო გადაწყვეტილების მისაღებად კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული ინფორმაციის არარსებობის გამო, მიეღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

1.1 საქმიანობის შესახებ ინფორმაცია

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო სკრინინგის განაცხადში ბაზისურ ინფორმაციასაც კი ვერ წარმოადგენს დაზუსტებით. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ლიცენზია გაიცემა **სავარაუდოდ** 20 წლის ვადით, ხოლო 20 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 959 950მ^3-ს, წელიწადში საშუალოდ 47 997,5 მ^3-ს. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებული 47 997,5 მ^3 -ზე) მეტი რესურსი. ანუ, უცნობია ლიცენზიის გაცემის ზუსტი ვადა; დადგენილია წლიური მოპოვების ოდენობა, რომლის დაცვა არ არის სავალდებულო.

1.2. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება

სკრინინგის განცხადებაში არაფერია მითითებული არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. თანდართულ გეოსაინფორმაციო პაკეტში კი აღნიშნულია, რომ „ობიექტის კონტურში ფიქსირდება ელექტროგადამცემი ხაზები, ანძები“ (მითითებული არ არის არც ოდენობა, არც სიმძლავრე, არც მესაკუთრე) და „ადგილობრივი მნიშვნელობის მილი“ (რა

დანიშნულების მილია ისიც კი არ არის მითითებული). ასევე, პაკეტში მითითებულია, რომ მიწის მინაკუთვნიდან 5-მ-ში (სავარაუდოდ, სამთო მინაკუთვნის ფარგლებში) განთავსებულია რადიაქტიური ნარჩენების საცავი და სამარხი. ასევე, კონკრეტული ინფორმაციის წარმოდგენის გარეშე მითითებულია, რომ ობიექტი ხვდება ნაწილობრივ ქარის ელ.სადგურის პოტენციურ პოლიგონში.

სააგენტო არაფერს უთითებს არაერთ წიაღით სარგებლობის ლიცენზიაზე, რომელიც თავად აქვს გაცემული ამ ტერიტორიაზე.

1.3 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და თავსებადობა

მინერალური რესურსების სააგენტო უთითებს რომ „ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიაზე, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები“. ამასთან, არც სკრინინგის განცხადებაში და არც თანდართულ გეოსაინფორმაციო პაკეტში არაფერია ნათქვამი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის დაშორებასა და თავსებადობაზე **დასახლებულ ტერიტორიასთან;** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან). გაუგებარი მიზნით გეოსაინფორმაციო პაკეტში მითითებულია გრაფა „დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან“ და საქმიანობასთან კავშირში აღნიშნულია პირდაპირი მანძილი გარდაბნიდან.

1.4. გარემოზე ზემოქმედების ხასიათი და მასშტაბი

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე მინერალური რესურსების სააგენტო დამატებით უთითებს, რომ არ ფლობს არანაირ ინფორმაციას გადაწყვეტილების მიღებისთვის მთავარი ფაქტორის - პოტენციური ზემოქმედების ხასიათისა და დონის შესახებ: „რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე“. თუმცა, ამისდამიუხედავად, მინერალური რესურსების სააგენტო ითხოვს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, განიხილოს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

2. დასკვნა

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ფორმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება.